სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

25/04/2024

MES 2 24 0000469075

ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 2 თებერვლის N105472 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 17 აპრილის N 440273 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2024 წლის 18 აპრილის N 442928 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 აპრილის N01-05-04/50 დადგენილების შესაბამისად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის მიზნით

ვბრძანებ :

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 17 აპრილის N 440273 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2024 წლის პირველი მარტიდან პირველ ივლისამდე 5 (ხუთი) კალენდარული თვის განმავლობაში გაიცეს სახელმწიფო სტიპენდია თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ და ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებზე, რომლებსაც სწავლების წინა სემესტრში ათვისებული აქვთ არანაკლებ 25 კრედიტისა;

2. სტიპენდიანტთა რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით განისაზღვროს სტუ-ის ბაკალავრიატის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად:

- სამშენებლო ფაკულტეტი – 84 სტუდენტი;
- ენერგეტიკის ფაკულტეტი – 85 სტუდენტი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 54 სტუდენტი;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 22 სტუდენტი;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი –54 სტუდენტი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 75 სტუდენტი;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 104 სტუდენტი;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 178 სტუდენტი;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 14 სტუდენტი;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 129 სტუდენტი;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 97 სტუდენტი;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი - 53 სტუდენტი;
- მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი - 21 სტუდენტი.

3. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს ფაკულტეტებზე 2023–2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 17 აპრილის N 440273 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 17 აპრილის N 440273 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს „სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე“ ბრძანების პროექტის მომზადება;

6. ბრძანების კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ.ბუაჩიძეს;

7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყონ ფაკულტეტების სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებებმა;

8. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ